

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

შპს ბუსსს ანრის სენატის
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

Regulation for Senate of BHMES ANRI, LLC

1. გავრცელების სფერო

1. წინამდებარე დებულება ვრცელდება და წარმოადგენს ნორმატიულ დოკუმენტს შპს ბუსსს ანრის სენატის წევრებისთვის.
2. დებულების აღრიცხული ეგზემპლარი ინახება ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურში, ელ.ვერსაი განთავსებულია სასწავლებლის შიდა ქსელში და ვებგვერდზე.
3. არსებული დებულების დასაგზავნი ეგზემპლარების მომზადება და დაგზავნა ხდება საჭიროებისამებრ შპს ბუსსს ანრის ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.

2. ნორმატიული მითითებები

2.1 არსებული დებულების მომზადებისას გათვალისწინებულია შემდეგი ნორმატიული დოკუმენტის მოთხოვნები:


1. სს ISO 9001:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. მოთხოვნები;
2. სს ISO 9000:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. ძირითადი დებულებები და ლექსიკონი;
3. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ;
4. ნდ №2-010101 შპს ბუსსს ანრის წესდება;
5. ნდ N2-020101 - ხარისხის სახელმძღვანელო
6. ნდ 2-0201-01- შიდა ნორმატიული დოკუმენტების დამუშავებისა და მოქმედებაში მოყვანის პროცესის პროცედურა;
7. ნდ 2-0201-02- დოკუმენტებისა და მონაცემების მართვის, დოკუმენტალური უზრუნველყოფის პროცესის პროცედურა

3. ტერმინები, განმარტებები, შემოკლებები

არსებულ დებულებაში გამოყენებულია შემდეგი ტერმინები, განმარტებები და შემოკლებები:

3.1. ტერმინები, განმარტებები

1. **ნორმატიული დოკუმენტი** - რომელიც ადგენს წესებს, საერთო პრინციპებსა და მახასიათებლებს გარკვეული მოღვაწეობის სფეროსათვის;
2. **პერიოდული შემოწმება** - არის ქმედება, რომელიც ითვალისწინებს ნორმატიული დოკუმენტის გადამოწმებას მასში შესაძლო ცვლილებების შეტანის მიზნით;
3. **ხარისხის უზრუნველყოფა** - შიდა და გარე შეფასების პროცედურები, რომელთა განხორციელება ხელს უწყობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას;
4. **ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური** - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის წესდების შესაბამისად მოქმედი სტრუქტურული ერთეული, რომლის დანიშნულებაცაა სასწავლო და სამეცნიერო მუშაობისა და პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების სისტემატიური შეფასება, აგრეთვე შპს ბუსსს ანრის ხარისხის მენეჯმენტის სისტემის სრულყოფა, ხარისხის საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015 მოთხოვნათა შესაბამისად;
5. **აკადემიური ხარისხი** - ხარისხი, რომელიც მიენიჭება პიროვნებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესაბამისი უმაღლესი განათლების საფეხურის დამთავრებისას;



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

შპს ბუსსს ანრის სენატის
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

Regulation for Senate of BHMES ANRI, LLC

6. **აკადემიური წოდება** – წოდება (საპატიო დოქტორი, ემერიტუსი), რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ენიჭება მეცნიერს ან საზოგადო მოღვაწეს განსაკუთრებული დამსახურებისთვის;
7. **პროფესორი** - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით მუშაობას.
8. **ასოცირებული პროფესორი** - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობა. ასოცირებული პროფესორი მონაწილეობს სასწავლო პროცესში და ხელმძღვანელობს სტუდენტების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;
9. **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება** - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების განმახორციელებელი სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება, რომლის ძირითადი საქმიანობაა უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობისა და სამეცნიერო კვლევების განხორციელება, აგრეთვე შემოქმედებითი მუშაობის წარმართვა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შედგება ძირითადი საგანმანათლებლო და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისაგან და ანიჭებს შესაბამის აკადემიურ ხარისხს/ხარისხებს ან/და პროფესიული უმაღლესი განათლების შესაბამის კვალიფიკაციას

3.2. შემოკლებები


1. **შპს ბუსსს ანრი** - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი (ტექსტში ასევე შეიძლება შეგვხდეს, როგორც **სასწავლებელი**);
2. **მფ** - მოქმედი ფორმა;
3. **ნდ** - ნორმატიული დოკუმენტი;
4. **ხარისხის სამსახური** - შპს ბუსსს ანრის ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური;
5. **ISO** - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია

4. ზოგადი დებულება

შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის (შემდგომში სასწავლებელი) სენატი არის სასწავლებლის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროცესებთან დაკავშირებული უმაღლესი წარმომადგენლობითი კოლევიალური მართვის ორგანო, რომლის გადაწყვეტილებების შესრულება სავალდებულოა სასწავლებლის ყველა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის, ასევე სტუდენტებისათვის.

5. სენატის ფორმირების წესები და პირობები

1. სენატს ქმნის სასწავლებლის გენერალური დირექტორი ბრძანებით, განსაზღვრავს მის შემადგენლობას და სასწავლებლის აკადემიურ პერსონალთა შემადგენლობიდან ნიშნავს სენატის წევრებს.
2. გენერალური დირექტორი ავტომატურად - იმავდროულად არის სენატის წევრი და სენატის თავმჯდომარე მთელი თავისი უფლებამოსილებით.
3. სენატის წევრთა ვადა განისაზღვრება 4 წლით.
4. სენატის წევრის სტატუსის მოპოვების საფუძველია გენერალური დირექტორის მიერ სენატის წევრად მისი დანიშვნა.
5. სენატის შემადგენლობაში შედიან: გენერალური დირექტორი, რექტორი, ორი აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი, ორი სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელი; სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი


შპს ბუსსს ანრის სენატის
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

Regulation for Senate of BHMES ANRI, LLC

6. აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები ფაკულტეტსა და თვითმმართველობაში აირჩევიან ღია კენჭისყრით და წარედგინებათ გენერალურ დირექტორს დასანიშნად.
7. სენატის წევრის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:
 - ა) სასწავლებელთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა;
 - ბ) პირადი განცხადება;
 - გ) გარდაცვალება;
 - დ) მისი უფლებამოსილების ვადის გასვლა;
 - ე) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;
 - ვ) სწავლის დასრულება;
 - ე) კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა საფუძვლები.
8. სენატის წევრად ფაკულტეტის მიერ ღია კენჭისყრით აირჩევა სასწავლებლის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.
9. სენატის წევრად შეიძლება არჩეულ იქნას იმ დარგის სპეციალისტები - კაპიტნები, უფროსი მექანიკოსები, ელექტროკოსები და სხვა, რომლებიც ჩართულნი არიან სასწავლო პროცესში;
10. სენატის წევრის (აკადემიური პერსონალის წარმომადგენლის) უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, სენატის უფლებამოსილების ვადით მისი წევრი ხდება ფაკულტეტის მიერ ღია კენჭისყრით შერჩეული პირი/პირები;

6. სენატის საქმიანობის პრინციპები და მისი უფლებამოსილება

1. სენატის საქმიანობის პრინციპებია თანასწორუფლებიანობა, კანონიერება, გამჭვირვალობა.
2. სენატი:
 - ა) ამტკიცებს სასწავლებლის სტრატეგიულ გეგმებსა და მიმართულებებს; საქმიანობის სხვადასხვა სახის გეგმებს;
 - ბ) ამტკიცებს საგანმანათლებლო, მოსამზადებელ და საწვრთნელ პროგრამებს; ცვლილებები შეაქვს საგანმანათლებლო, მოსამზადებელ და საწვრთნელ პროგრამებში;
 - გ) ამტკიცებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს;
 - დ) ხელს უწყობს უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციას;
 - ე) კანონმდებლობით დადგენილი წესით ამტკიცებს სასწავლებელში მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას, სხვა აკრედიტებულ ან ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიღებული უმაღლესი განათლების კრედიტების აღიარების წესებს;
 - ვ) ამტკიცებს აკადემიური პერსონალის შერჩევას და არჩევის კრიტერიუმებს, კონკურსების წესებსა და პირობებს;
 - ზ) ხელს უწყობს ქვეყნისა და საზღვარგარეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან სასწავლებლის თანამშრომლობის, მობილობას და ინტეგრირებულ სწავლებას;
 - თ) ამტკიცებს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიღებული განათლების მინიჭებული კვალიფიკაციების, კრედიტების ტრანსფერებისა და აღიარების წესებს;
 - ი) გენერალური დირექტორის წინადადების საფუძველზე ქმნის და აუქმებს სასწავლებლის სტრუქტურულ ერთეულებს;
 - კ) გენერალური დირექტორის წარდგინებით განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ;
 - ლ) ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინით განიხილავს და ამტკიცებს ხმს ანალიზს, შიდა შემოწმების შედეგებს, გარე შემოწმებების ანგარიშებს და ამტკიცებს მაკორექტირებელი და გამაფრთხილებელი ქმედებების გეგმას;



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

შპს ბუსსს ანრის სენატის
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

Regulation for Senate of BHMES ANRI, LLC

- მ) თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს რექტორს;
- ნ) განიხილავს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა ანგარიშებს;
- ო) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

7. სენატის სხდომის მომზადება და წარმართვა

1. სასწავლებლის სენატის სხდომებს იწვევს და თავმჯდომარეობს გენერალური დირექტორი. სხდომები მოიწვევა 2 თვეში ერთხელ მაინც. დასაშვებია რიგგარეშე სხდომების მოწვევა გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით ან/და სენატის წევრთა უმრავლესობის მოთხოვნით.
2. სენატის წევრებს წინასწარ უნდა ეცნობოთ სხდომის ჩატარების დღის წესრიგის, დროისა და ადგილის შესახებ. სენატის წევრები უფლება-მოსილნი არიან დღის წესრიგში შეიტანონ დამატებითი საკითხები, რაც უნდა ეცნობოს მდივანს სხდომების დაწყებამდე 2 დღით ადრე.
3. სენატის საქმეთა წარმოების დოკუმენტურ და საინფორმაციო მომსახურებას უზრუნველყოფს მდივანი, რომელსაც ნიშნავს გენერალური დირექტორი. მდივანი ადგენს სხდომებზე განსახილველ საკითხთა ნუსხას, გაცნობის მიზნით გადასცემს მათ სენატის წევრებს, ორგანიზებას უკეთებს სენატის სხდომების მოწვევებს, ადგენს და აწესრიგებს სხდომების ოქმებს და ა.შ.
4. სენატი უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. სენატის წევრი, რომელიც ზედიზედ ხუთჯერ არასაპატიო მიზეზით გააცდენს სხდომას სენატის რეკომენდაციით და გენერალური დირექტორის უშუალო გადაწყვეტილებით შეიძლება გათავისუფლდეს წევრის მოვალეობისაგან. სენატის შემადგენლობის შევსება ასეთ შემთხვევაში ხდება დადგენილი წესით.
5. სენატის გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი მაინც. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია გენერალური დირექტორის ხმა.

8. გადაწყვეტილების /დადგენილების მიღება

1. კანონით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა, სენატის სხდომაზე გადაწყვეტილება (ოქმში ფორმდება როგორც დადგენილება) მიიღება ღია კენჭისყრის მეშვეობით (ხელის აწევა და სიის ამოკითხვა);
2. სენატის წევრთა საერთო რაოდენობის 2/3-ს უფლებამოსილია მოითხოვოს ფარული კენჭისყრის ჩატარება. კენჭისყრა ჩატარდება ფარული წესით, თუ მას მხარი დაუჭირა დამსწრე წევრთა უმრავლესობამ;
3. კენჭისყრის პროცედურის ჩატარებისას იკრძალება სენატის წევრის მიერ სხდომათა დარბაზის დატოვება;
4. ბიულეტენების მეშვეობით ფარული კენჭისყრის გამართვისას დგინდება ბიულეტენების ფორმა. ბიულეტენები ერთმანეთისაგან არ უნდა განსხვავდებოდეს;
5. კანდიდატის შესახებ კენჭისყრისას, ბიულეტენის შევსებისას სენატის წევრი გადახაზავს მისთვის არასასურველი კანდიდატის გვარს და დატოვებს მხოლოდ იმ კანდიდატის გვარს, რომელსაც მხარს უჭერს. თუ ბიულეტენში მხოლოდ ერთი გვარია შეტანილი, მისთვის ხმის მიცემა გამოიხატება გვარის შემოხაზვით, ხოლო მიუცემლობა მისი გადახაზვით;
6. ამ მუხლის 5-ე პუნქტით გათვალისწინებული წესის დარღვევით შევსებული ბიულეტენი ითვლება ბათილად.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

შპს ბუსსს ანრის სენატის
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

Regulation for Senate of BHMES ANRI, LLC

9. სენატის დადგენილება

1. სენატის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება სენატის სხდომის ოქმით და დადგენილებით.
2. სენატის დადგენილების გადასინჯვა, შეცვლა ან გაუქმება დაიშვება მხოლოდ წევრთა ორი მესამედის გადაწყვეტილებით, აგრეთვე სენატის თავმჯდომარის წარდგინებით - სასწავლებლის პარტნიორთა საერთო კრების მიერ.

10. სენატის სხდომის ოქმი

- 1) სენატის თითოეულ სხდომაზე დგება ოქმი, რომელშიც უნდა აღინიშნოს:
 - ა) მართვის ორგანოს (ე.ი. სენატის) დასახელება;
 - ბ) სხდომის თარიღი;
 - გ) სხდომის თავმჯდომარისა და დამსწრე წევრების ვინაობა;
 - დ) დღის წესრიგი (განსახილველი საკითხი);
 - ე) კენჭისყრის შედეგები;
 - ვ) მიღებული დადგენილება
- 2) სენატის სხდომის ოქმს ხელს აწერს სენატის თავმჯდომარე და მდივანი და ბოლო გვერდზე დაისმება სასწავლებლის ბეჭედი.
- 3) სენატის ოქმზე გაცნობას წევრები ადასტურებს ოქმის ბოლო გვერდის გარე მხარეზე ხელმოწერით და გაცნობის თარიღის მითითებით.

11. კონფიდენციალურობა

არსებული დებულება წარმოადგენს შპს ბუსსს ანრის შიდა ნორმატიულ დოკუმენტს და არ ექვემდებარება მესამე მხარისთვის წარდგენას, გარდა აუდიტორებისა შიდა, გარე და ინსპექციური შემოწმების დროს.